ფინანსური სერვისების განხორციელებისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის ახალი წესების პროექტით გათვალისწინებული საკითხები ბანკებსა და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში
(ნორმატიული დოკუმენტის არსებული და ახალი ვერსიების შედარება)

#	საკითხი	ძველი წესით	ახალი წესით
1	წესებს დაქვემდებარებული ორგანიზაციები	ბანკები	ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები, კვალიფიციური ინსტიტუტები
2	მომხმარებლების არეალი, რომელზეც ვრცელდება ფინანსური ორგანიზაციების ვალდებულებები	ფიზიკური პირები	როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები
3	ხელშეკრულების თანხობრივი ზღვარი, როცა ორგანიზაციას ეკისრება ვალდებულება ხელშეკრულებაში მიუთითოს ესა თუ ის სავალდებულო ინფორმაცია, გააფორმოს ხელშეკრულების თავსართი, გაუმჯღავნოს მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკები	300-50 000 ლარი	300-200 000 ლარი
4	ხელშეკრულებებსა და თავსართებში ფონტის ზომებზე დაწესებული სტანდარტები	არ იყო	არის
5	მომხმარებლებისათვის შეთავაზებებისა და სარეკლამო მასალებში ინფორმაციის მიწოდების სტანდარტების დაწესება (მინიმალური ფონტის ზომის დაწესება, ფასის განმსაზღვრელი პარამეტრებთან ერთად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მითითების საჭიროება და სხვა)	არ იყო	არის
6	დისტანციური შეთავაზებებისას პირობების დისტანციურად გაცნობა-შეთანხმების და შეთანხმებული პირობების მომხმარებლებზე მიწოდების წესი	არ იყო	არის
7	მომხმარებლისათვის საკუთარ საფინანსო პროდუქტებზე მინიმუმ 1 დისტანციური არხით (არსებობისას) ინფორმაციის უფასოდ მიღების შესაძლებლობა	არ იყო	არის
8	ხელშეკრულების პირობებში ცვლილებების შეტანისას ინფორმაციის მხოლოდ საჯარო შეთავაზებებით გავრცელების შეზღუდვა და ორგანიზაციის მხრიდან მინიმუმ 1 უფასო პერსონალური შეტყობინების არხის შეთავაზების ვალდებულება	არ იყო	არის
9	ხელშეკრულების ნიმუშის მიწოდების ვალდებულება მომხმარებლისთვის, თანამსესხებლისათვის, თავდებისა და დატვირთული უზრუნველყოფის მესაკუთრისათვის მათი მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე, ხელშეკრულების თავსართის გადაცემის ვალდებულება ზემოაღნიშნული პირებისათვის	არ იყო	არის
10	კრედიტზე ვადაგადაცილების, დავალიანების წარმოშობის, ლიმიტის შეჩერებისას მსესხებლის, თანამსესხებლის, თავდების 5-დღიან ვადაში შეტყობინების გაგზავნის ვალდებულება	არ იყო	არის
11	არააქტიური პროდუქტების ცნების შემოღება და მათზე საკომისიოს დარიცხვის შეწყვეტის წესი	არ იყო	არის
12	კრედიტის წინსწრებით დაფარვის პირგასამტეხლოს განაკვეთები	იყო მაქსიმუმ ნარჩენი ძირის 2%	განაკვეთები განისაზღვრა 0-2%-მდე, ვადის და წინსწრების მიზნების გათვალისწინებით
13	კრედიტის წინსწრებით დაფარვის წესები	არ იყო	სესხის საწყისი თანხის 20%, მინ. 500 ლარის დაფარვისას კრედიტორი ვალდებულია მსესხებელს შესთავაზოს ვადის ან პერიოდული შესაჯანის
14	მომხმარებლებთან სესხის ამოღებისას ურთიერთობის ეთიკის კოდექსის შემუშავების ვალდებულება	არ იყო	არის